პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 ივლისი კვირა 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 177 (15390)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ". საბჭოთა უმაღლესი სკოლა, აღნიშნულია დადგენილებაში, ძირითადად წარმატებით ასრულებს მთელი სახალხო მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებაში, სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე. უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობს ქვეყნის ყველა მეცნიერ მუშაკთა მესამედზე მეტი. ამ ბოლო წლებში გაფართოვდა უმაღლეს სასწავლებელთა ქსელი, გაიზარდა სტუდენტთა მიღება, განსაკუთრებით მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიმართულებებით. დადებით როლს ასრულებენ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის მოსამზადებელი განყოფილებანი, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნა. წარმოების მნიშვნელოვანი მუშაობა უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, სტუდენტთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კომუნისტური შენებლობის თანამედროვე ეტაპის ამოცანები, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა, მოითხოვენ სპეციალისტთა სწავლებისა და აღზრდის შემდგომ სრულყოფას. წარმოების სწრაფი ზრდისა და მისი განუწყვეტელი ხელახალი ტექნიკური აღჭურვის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სპეციალისტებს შესწევდეთ უნარი დაინახონ დარგის და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები, კვალიფიციურად გადაჭრან შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის ამოცანები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც საკუთარი უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს უყურადღება მიაქციეს იმას, რომ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა თეორიული და პროფესიული ცოდნის დონე არ შეესაბამება მეცნიერებისა და წარმოების გაზრდილ მოთხოვნებს. ჯერ კიდევ ნელა ამუშავებენ და იყენებენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის თანამედროვე მეცნიერულ მეთოდებს, აგრეთვე სწავლების ტექნიკურ საშუალებებს. ცალკეულ სასწავლო გეგმებში, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში სათანადოდ არ არის ასახული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. ყოველთვის მაღალ მოთხოვნებს როდი უყენებენ სტუდენტთა სწავლას და დისციპლინას. სრულყოფა სჭირდება უმაღლესი განათლების დაუსწრებელ და საღამოს სწავლების ფორმებს.

ბევრი უმაღლესი სასწავლებელი ჯერ კიდევ უსუსტად არის დაკავშირებული სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან, სათანადო ყურადღებით არ ეკიდება აქტუალური მეცნიერული და ტექნიკური პრობლემების გადაჭრას. ზოგიერთი დარგობრივი სამინისტრო და უწყება არსებითს დახმარებას არ უწევს უმაღლეს სასწავლებლებს მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, თანამედროვე ლაბორატორიული მოწყობილობით აღჭურვაში, ნაკლებად ზრუნავს ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის. სერიოზული ნარევზებია ახმირანტურის მუშაობაში, ქვეყნის მორეულ რაიონებში უმაღლესი სასწავლებლებისათვის მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების მომზადებაში. სპეციალისტთა მომზადების, განათლებისა და გამოყენების დაგეგმვა სათანადოდ არ შეუხამებია სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც საკუთარი უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უმაღლეს სასწავლებელთა მეცადინეობა წარმართონ უმაღლესი სკოლის განვითარების დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობისათვის, მეცნიერებისა და კულტურისათვის კადრების მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად, მიიღწიონ იმას, რომ ახალგაზრდა სპეციალისტები დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საფუძვლებს, ჰქონდეთ საფუძვლიანი თეორიული და პროფესიული მომზადება, მაღალი მორალური თვისებები და შესწევდეთ ადამიანებთან მუშაობის უნარი, იყონ პარტიის პოლიტიკის აქტიური გამტარებლები. უმაღლესი სკოლა მოწოდებულია ჩაუნერგოს სპეციალისტებს მსწრაფება განუწყვეტლივ ამდიდრებდნენ და ახალებდნენ მიღებულ ცოდნას, რაც მთელი მათი ცხოვრებისა და საქმიანობის უთუო წესი უნდა გახდეს.

ჩვენს ქვეყანაში უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილად ცნეს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში შეიქმნას უმაღლესი სკოლის საბჭო. გათვალისწინებულია, რომ მის შემადგენლობაში შეივლენ სსრ კავშირის ამ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროების ხელმძღვანელი მუშაკები, აგრეთვე სტუდენ-

(დასასრული მე-2 გვ.).

ვიპაღწიოთ ხუთწლედის ახალ ეიხნებს

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

28 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

კრების პრეზიდიუმში აირჩიეს ამხანაგები: ვ. პ. გოგიჩაიშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიპნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, კ. ვ. მელნიკოვი, ვ. პ. მჟავანაძე, ზ. ა. პატარეიძე, ა. ნ. ჩუბინი, ბ. დ. ჯავახიშვილი, რ. ვ. მეტრეველი, თ. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, წარმოების ნოვატორები, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწენი.

მოხსენება „რესპუბლიკის მრეწველობის წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგები და 1972 წლის გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების ამოცანები" გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. დ. ჯავახიშვილმა.

მოხსენებაში გაკრთა გამორთულ კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის მინისტრი ა. ბ. ხუროძე, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ტყვარჩელის № 6 შახტის მებადინე რ. ბ. აჩიბა, ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის პარტორგანიზაციის მდივანი რ. ი. ცხოვრებელი, საქართველოს ლენინის რაიკომის პირველი მდივანი ს. მ. მიმაძე, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ო. ი. მოსაშვილი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ბ. ა. გაბლეშვილი, კახეთის ციმენტის ქარხნის დირექტორი ი. ბ. ალიბეგაშვილი, ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მუშა ბ. ა. ბუნეჭაშვილი, საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი დ. ა. ნიშაძე, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სამსხმელო უფროსი ზ. ვ. კლდეიშვილი, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ხ. კვარაცხელია, საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი კ. ი. ქრისტესიაშვილი.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის მშრომელები ღღენიადაგ ებრძვიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეცხრე ხუთწლედის გეგმის, წლიური გეგმისა და ნაკიხრ სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის. სუსხიანი ზამთრისა და ამასწინანდელი სტიქიური უბედურების მიუხედავად, საქართველოს მრეწველობამ პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 101,4 პროცენტით, ხოლო საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა — 101,2 პროცენტით. დავალებათა გადაჭარბებით შესრულების შედეგად წარმოებულია თითქმის 27 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის ნახევარი საუკუნის იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის, წარმოების ინტენსიფიკაციისა და მისი ეფექტიანობის გადიდებისათვის.

აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კარგად იმუშავეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივებმა, რომლებმაც არ უღალატეს თავიანთ ტრადიციებს და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ორი მილიონი მანეთის და მეტი სამრეწველო პროდუქცია. წარმატებთ შესრულეს საწარმოო დავალებანი ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო, ელექტრომექანიკურმა, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნებმა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო, ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო, კალინინის სახელობის გაზის აპარატების ქარხნებმა, ბათუმის მანქანათსამშენებლო, სოხუმის ხელსაწყოთსამშენებლო ქარხნებმა და მთელმა რიგმა სხვა საწარმოებმა.

გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმები ხე-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის საწარმოებმა.

მაგრამ რესპუბლიკის მრეწველობაში ყველაფერი რიგზე როდია: მის მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც განაპირობებენ იმას, რომ ვერ შესრულდა წლის პირველი ნახევრის გეგმის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები. პროდუქციის რეალიზაციის დავალება სამუაოდ რესპუბლიკაში შესრულდა, მაგრამ სამუაოო ციფრი ფარავს მთელი რიგი საწარმოებისა და მრეწველობის მთელი დარგების ჩამორჩენას. ფაქტიურად გასული წლის დამლევთან შედარებით გაიზარდა ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა არ შეესრულებია მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროთა საწარმოების მესაფდ. საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემის 33 საწარმოდან გეგმა ვერ შეასრულა 19 საწარმომ. რთული მდგომარეობაა მსუბუქ მრეწველობაში, რომელიც უსრულველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებას სახალხო მოხმარების საქონელზე. მისმა საწარმოებმა პროდუქციის წარმოების გეგმა შეასრულეს 99,3 პროცენტით, მაგრამ 21 საწარმომ ვერ შეასრულა დავალება, შეამცირა შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონე.

როგორც ცნობილია, კვების მრეწველობის პროდუქციისა შეადგენს სამრეწველო წარმოების მთელი მოცულობის დაახლოებით 40 პროცენტს. მაგრამ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა შეანელეს სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი, რომელსაც შარშან მიაღწიეს.

კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობაში არსებული სერიოზული სარეზერვები, რა თქმა უნდა, ვერ აიხსნება „ობიექტური" მიზეზებით, რომელთაც ზოგიერთი ამხანაგი ცდილობს გაამართლოს ჩამორჩენა, და არც სუსხიანი ზამთრით, რომელსაც ზოგი ამრალებს თავის დანაშაულს. მთავარი მიზეზებია შრომის ცუდი ორგანიზაცია, წარმოების მართვის დაბალი დონე, შრომის, საწარმოო, სახელმწიფო და პარტიული დისციპლინის შესუსტება.

სამინისტროთა და უწყებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი, მათი დარგობრივი სამმართველოები და განყოფილებები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოები კოხერტულად და სისტემატურად არ ადევნებენ თვალყურს თვითეული საწარმოს მუშაობას, არ აანალიზებენ მათს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, ვერ რაზმავენ მათს კოლექტივებს უმნიშვნელოვანეს ამოცანათა გადაყვანაზე, გადამჭრელ ღონისძიებებს არ ახორციელებენ იმ საწარმოთა ხელმძღვანელების მიმართ, რომლებშიც სისტემატურად არ სრულდება სახელმწიფო გეგმები.

მთელმა რიგმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ ამ ბოლო დროს არის ფაქტები, როცა შესუსტდა პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმების შესასრულებლად საწარმოთა საქმიანობისათვის. მაგალითად, ის, ხაზგასმით აღინიშნეს ორატორებმა, რომ თბილისის 37 საწარმომ ვერ შეასრულა საგეგმო დავალებანი და სამმობლოს დაავალო თითქმის 10 მილიონი მანეთის პროდუქცია, რა თქმა უნდა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის სუსტი ხელმძღვანელობის შედეგია.

არც პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტს განუხორციელებია საკმაოდ ეფექტიანი ღონისძიებანი ქალაქის სამრეწველო საწარმოებში მდგომარეობის გამოსასწორებლად. პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა ვერ შეასრულა ფოთის, გორისა და ზუგდიდის მრეწველობამ.

კრების მონაწილეებმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ რესპუბლიკაში ჩამორჩენა სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი. მაშინ როცა დაგეგმილი იყო წარმოების ზრდა 6 პროცენტით, ფაქტიურად წლის პირველ ნახევარში მან მხოლოდ 0,9 პროცენტი შეადგინა. გასულ წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა მხოლოდ 0,6 პროცენტით.

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების უმნიშვნელოვანესი პირობა, აღინიშნეს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებმა, უნდა გახდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა უშუალოდ უნდა მოაკვიდონ ხელი ამ საკითხის გადაწყვეტას. უნდა შემუშავდეს თვითეული საწარმოს რეკონსტრუქციისა და წარმოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვის დეტალური გეგმები, დაისახოს მათი შესრულების კონკრეტული გზები და დაწესდეს მკაცრი კონტროლი მათი განხორციელებისადმი.

როგორც ორატორებმა აღნიშნეს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქციის ხარისხს, კერძოდ, მახორციი მოთხოვნილების საქონლის ხარისხს. ეს საკითხი ყოველთვის უნდა იყოს პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოთა დირექტორების, მრეწველობის ყველა მუშაკის ყურადღების ცენტრში.

თვითეული სამრეწველო საწარმოს მუშაობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება. პარტიულმა, საბჭოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების, მაღალი დისციპლინისა და ორგანიზებულობის სულისკვეთებით შრომელთა აღზრდისათვის, გაგუდმებით ზრუნავდნენ მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის, საწარმოებში კადრების შენარჩუნებისათვის. ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უნდა გაიზარდოს შრომითი კოლექტივების, საბჭოთა საზოგადოების ძირითადი უჯრედის, როლი წარმოების განვითარებასა და სრულყოფაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდასა და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში მასების ჩაბმაში.

ორატორებმა განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი, რომ ყოველი ღონისძიებით უნდა ვზრდიდეთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების გავლენას საწარმოთა მუშაობაზე. მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის და უწინარეს ყოვლისა მიმდინარე წლის დავალებათა უთუო შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში კომუნისტები უნდა იყონ.

კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ხუთწლედის მეორე წლის მესამე კვარტალი მიმდინარე სამეურნეო წლის გადამწყვეტი კვარტალია.

აქტივის კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს, რომ თვითეულმა კოლექტივმა განიხილოს ნახევარი წლის მუშაობის შედეგები, საგულდაგულოდ გააანალიზოს ჩამორჩენის მიზეზები, მეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი სამრეწველო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში კრების მონაწილეებმა რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით პირობა მისცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ძალღონეს და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა მიაღწიონ ხუთწლედის ბრძოლ მიჯნებს, ღირსეულად შეხვდნენ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ ჩაიარა საქმიანად, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

28 ივლისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ო. ი. ლოლაშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე.

ამხ. გ. ვ. ბედინეიშვილი პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგედ. (საქინფორმი).

ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲓᲠᲝᲨᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲚᲝᲢᲘ. „ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, რაც ხალხის მიერ არის შექმნილი, დავიცვათ საიმედოდ, ფხიზლად, მამაცურად!" — ასეთი დევიზით სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავზე ჩვენი ქვეყნის მთელ შეიარაღებულ ძალებთან ერთად ვახტზე დგანან შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის მეზღვაურები. შაზღველები, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება უმაღლესი ოსტატობის მიხაღწევად, ბეჯითად სწავლობენ მათთვის მინდობილ ტექნიკასა და იარაღს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ (ᲥᲕᲔᲛᲝᲗ): საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები საგუშაგო ხომალდის მენაღმეები (მარცხნიდან მარჯვნივ); ვასილ ჯუნი, ალექსანდრე პანუშკინი, გრიგოლ კოვალჩუკი, ალექსანდრე დოსაევი.

ᲔᲠᲗᲘ ᲬᲣᲗᲘᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲬᲧᲓᲔᲑᲐ ფლოტის საბრძოლო სწავლება. ოკეანის შორეულ ხივრცეებში სრულდება სხვადასხვაგვარი სახწავლო-საბრძოლო ამოცანები. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ (ᲖᲔᲛᲝᲗ): სწავლება.

საკლესის ფოტოქრონიკა.

ᲕᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ — სსრკ სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე

დიდება სამხედრო მეზღვაურებს!

28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი კრება.

კრება გახსნა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. კ. მელნიჩენკომ.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

— სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე, — თქვა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლის პირველმა მოადგილემ, ფლოტის ადმირალმა ვ. ა. კასატონოვმა, — ჩვენს ქვეყანაში მართლაც რომ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია, სამხედრო მეზღვაურების, საბრძოლო ხომალდების, სამხედრო-საზღვაო ტექნიკისა და იარაღის შემქმნელი მუშების, ინჟინრებისა და კონსტრუქტორების წარმატებათა დათვალიერების დღე გახდა.

ჩვენი ფლოტის საფუძველია საბრძოლო ხომალდები, რომლებშიც თავმოყრილია საბჭოთა მეცნიერების, საინჟინრო აზროვნებისა და ჩვენი გემთმშენებლების ოსტატობის უახლესი მიღწევები.

საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი შეიარაღებულია პირველი კლასის საბრძოლო ტექნიკითა და იარაღით. მაგრამ ჩვენი ფლოტის ძირითადი ძალაა ადამიანები, რომლებმაც ათვისეს და სოციალისტური სამშობლოს უშიშროების ინტერესებს სამსახურში ჩაყენეს ტექნიკა და იარაღი.

ფლოტის ადმირალმა გულითადი მადლობა გადაუხადა დედაქალაქის მშრომელებს, თავდაცვის მრეწველობის მუშაკებს, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობა ნებაყოფლობითი საზოგადოებებს წარმომადგენლებს, საავტო ფლოტის მეზღვაურებს, ყველა საბჭოთა ადამიანს უდიდესი წვლილისათვის, რომელიც შეიტანეს სსრ კავშირის მძლავრი საოკეანო რაკეტულ-ატომური სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნასა და განვითარებაში, გულითადობისა და სიყვარულისათვის, რომლითაც გარემოსილი არიან საბჭოთა მეზღვაურები.

სამხედრო მეზღვაურებს გულითადად მიესალმნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე არმიის გენერალი ს. ლ. სოკოლოვი, მანქანათმშენებელთა ქარხნის ხარატი ა. ვ. ფედოროვი, გემთმშენებლობის მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. ეგოროვი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ვ. არუთიუნიანი.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. (საკლესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სარატიფიკაციოდ წარუდგინა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულება რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს მოსკოვში 1972 წლის 26 მაისს.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობა

28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ მოსკოვში ხელი მოაწერეს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა შეთანხმების ოქმს. ეს ოქმი განსაზღვრავს მიმართულებებს, რომლებთანაც უწინარეს ყოვლისა განვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობა. ეს არის ენერგეტიკა, გამოსთვლელი მანქანების გამოყენება მართვის დარგში, სამეცნიერო კვლევა სოფლის მეურნეობის, მიკრობიოლოგიური ხერხით ნივთიერებათა წარმოების, წყლის რესურსების დარგში, აგრეთვე კვლევა ქიმიური კატალიზის დარგში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ა. კირილინმა, რომელმაც საბჭოთა კავშირის მხრივ მოაწერა ხელი ოქმს, აღნიშნა, რომ გადადგმულია ნაბიჯი შეთანხმების რეალიზაციის გზაზე. უახლოეს დროში, თქვა მან, ექსპერტთა ჯგუფები შეუდგებიან თანამშრომლობის კონკრეტული პროგრამების შემუშავებას.

ოქმის ხელმოწერას ესწრებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ჯეკობ დ. ბიმი. (საკლესი).

სოლიდაროგის ერთთვიური დამთავრდა

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ დამთავრდა სამხრეთ კორეიდან ამერიკის ჯარების გაყვანისათვის და მშვიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე ქვეყნის გაერთიანებისათვის კორეელი ხალხის ბრძოლისადმი სოლიდარობის ერთთვიური.

მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში, უკრაინასა და ყაზახეთში, ზღვისპირეთისა და ბაბაროვსკის მხარეებში, ომსკისა და ირკუტსკის ოლქებში, ლენინგრადში, ეორკსა და სხვა ქალაქებში გაიმართა საზოგადოებრიობის კრებები და საღამოები, მშრომელთა მასობრივი მიტინგები, რომლებშიც საბჭოთა ადამიანებმა კვლავ განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კიდევ უფრო განამტკიცონ და განავითარონ მეგობრობა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ძმმა ხალხთან.

ერთთვიური დროს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს თანამშრომლები ელჩის კვონ ხი გვინის მეთაურობით გაეცნენ საბჭოთა ადამიანების მიღწევებს ცხოვრების სხვადასხვა დარგში, ესტუმრნენ ქარხნებსა და ფაბრიკებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, მეგობრული შეხვედრები და საუბრები ჰქონდათ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

27 ივლისს მოძმე ქვეყნის წარმომადგენლები ესტუმრნენ მოსკოვის ოლქის ქალაქ ლიუბერცის მშრომელებს. სოლიდარობის ერთთვიურის დასკვნითი აპორდი იყო მშრომელთა წარმომადგენლობის კრება (საკდესი).

მწყობრში ჩადგა

● **ᲞᲝᲚᲝᲪᲙᲘ** (ᲪᲝᲢᲙᲘᲡᲙᲘ ᲠᲝᲚᲤᲘ). პოლოცკის მე-2 თბილელექტროსადგურის მილების თავზე გაქრა ვეფხვის შლეიფები. სანთა მაზუთს საცეცხლეში მიაწოდებენენ, მას 200 გრადუსამდე ათბობენ სპეციალურ თბოგადამცემში. ამიტომ იგი გადადის ბოილერის მდგომარეობაში და ისე იწვის, რომ ბოლს არ გამოყოფს. გადაწყვეტილია ეს მეთოდი დანერგოს ბელორუსიის სხვა თბოელექტროსადგურებშიც.

● **ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ** (ᲧᲝᲠᲝᲛᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ). საექსპლოატაციოდ გადაეცა მაგისტრალური ნრდილოეთ ყირიმის არხის ახალი 20-კილომეტრიანი უბანი. მაგისტრალის საერთო სიგრძემ 320 კილომეტრს ; მიაღწია. მაგისტრალით მიღებულმა დნეპრის წყალმა უკვე მორწყა ყირიმის ნახვეარკუნძულის ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ყანები. (საკდესის კორ.).

● **ᲞᲐᲜᲔᲕᲔᲟᲘᲚᲘ** (ᲚᲢᲕᲘᲡ ᲡᲡᲠ). მინის ვაზების, ღვინის ჭიქების, თეფშების დამზადების შეუდგა ქარხანა „ეკრანასი", რომელიც ტელევიზორის კინესკოპებს უმზადებს. ახალი პროდუქციის წარმოებისათვის საწარმოში დამონტაჟებულია სპეციალური მოწყობილობა. აპოოეტებენ ტექნოლოგიურ ხაზს ბროლის ჭურჭლის გამოსაშვებად. ხუთწლედის დამლევისათვის ქარხანა ყოველწლიურად მიაწვდის სავაჭრო ქსელს რამდენიმე მილიონი მანეთის მინისა და ბროლის ჭურჭელს.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-512"

**1972 Წ

ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

(დასასრული)

ტთა წარმომადგენლები. უმაღლესი სკოლის საბჭო მოწოდებულია მთავარი ყურადღება მიაქციოს უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციათა შემუშავებას, სპეციალისტთა მომზადების, მათი განაწილებისა და გამოყენების პერსპექტიული დაგეგმვის, მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს.

დადგენილებით აგრეთვე გათვალისწინებულია, რომ დიდ სუნივერსიტეტო ცენტრებში შეიქმნას უმაღლეს სასწავლებელთა რექტორების საბჭოები, რომლებსაც დაევალებათ უმაღლეს სასწავლებელთა საქმიანობის კოორდინაცია, სასწავლო პროცესის, იდეურ-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციის, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების დარგში დადებითი გამოცდილების განზოგადება და გავრცელება.

უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უმაღლეს სასწავლებელთა რექტორებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ზემდგომი ორგანო დადგენილი წესით და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიის რეკომენდაციის გათვალისწინებით.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან და შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, დაევალათ 1972-1974 წლების მანძილზე განახორციელონ ღონისძიებანი, რათა სრულყონ უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო გეგმები და პროგრამები ისეთი მიმართულებებით, როგორიც არის ზოგადმეცნიერულ და ზოგადტექნიკურ დისციპლინებში სტუდენტთა მომზადების გაძლიერება და პრაქტიკის მოწყობა მეცნიერებისა და წარმოების თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მართვის, საინჟინრო ფსიქოლოგიის, სამრეწველო ესთეტიკისა და ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკის დარგში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესება. გამოვდგინთ უნდა იზრდებოდეს წამყვან მეცნიერ-პედაგოგთა, მუშაკთა როლი სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესში. სისტემატურად განახლდეს ყველა სასწავლო დისციპლინის შინაარსი, უფრო აქტიურად ინერგებოდეს სტუდენტთა სწავლების ახალი, პროგრესული მეთოდები ტექნიკური საშუალებათა გამოყენებით, ყოველი ღონისძიებით განვითარდეს ცოდნის შემოქმედებითი დაუფლების ფორმები. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით დაზუსტდეს სპეციალისტთა მომზადების პროფილები თანამედროვე წარმოების მოთხოვნათა შესაბამისად და ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფართო პროფილის სპეციალისტთა მომზადებას.

უნდა ამაღლდეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის დონე, უფრო სრულად ვიყენებდეთ მათს შესაძლებლობებს სტუდენტთა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და იდეური რწმენის ჩამოყალიბებაში, უზრუნველვყოფდეთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მაღალ ხარისხს, სტუდენტთა მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლების შრომების, სკკპ დოკუმენტების საფუძვლიან შესწავლას, სტუდენტ ახალგაზრდობას ვუნერგავდეთ კლასობრივ მიდგომას საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი, უნარს დასაბუთებულად გააკრიტიკონ ანტიმარქსისტული შეხედულებანი. უნდა გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების მომზადება, გავზარდოთ მათი პასუხისმგებლობა ახალგაზრდა სპეციალისტთა კომუნისტური აღზრდისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, სამინისტროები და უწყებები, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, მოვალენი არიან მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ სპეციალისტთა მომზადება უმაღლესი განათლების საღამოსა და დაუსწრებელი ფორმით. გადასინჯონ იმ სპეციალობათა სია, რომელთა მიხედვით წარმოების კადრების საღამოს და დაუსწრებელი მომზადება, განამტკიცონ კათედრები შაღალკვალიფიკაციური მასწავლებლებით. წარმოებას მოუწყვეტლივ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის დროს უპირატესობა მისცენ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არჩეული სპეციალობით. გააუმჯობესონ უმაღლეს სასწავლებელთა მოსამზადებელი განყოფილებების საქმიანობა, რომლებიც მატერიალური წარმოების სფეროში მომუშავე ახალგაზრდებით სტუდენტთა რიგების შევსების დიდმნიშვნელოვანი ფორმაა.

დადგენილება ითვალისწინებს ღონისძიებებს, რათა დროულად მომზადდეს და გამოიცეს სახელმძღვანელოები, სასწავლო-მეთოდური დამხმარე სახელმძღვანელოები, განსაკუთრებით მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიმართულებებით და ისეთი ტირაჟით, რომელიც დააკმაყოფილებს უმაღლეს სასწავლებლების მოთხოვნილებებს, ღონისძიებებს, რათა უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა და სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციით საბჭოთა და საზღვარგარეთის მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლეს მიღწევათა შესახებ, აგრეთვე ითვალისწინებს, რომ უმაღლეს სასწავლებელთა სპეციალურ ფაკულტეტებზე შემუშავდეს იმ კადრების გადამზადების სისტემა, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი, პერსპექტიული მიმართულებებით, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება და პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს მიეცათ წინადადება შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის სრულყოფისათვის. სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკისათვის უმაღლეს სასწავლებლებს მისცეს საბაზო საწარმოები, საწარმოო გაერთიანებანი, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, კულტურის დაწესებულებანი.

საპირო პრაქტიკული ჩვევების მისაღებად უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულებმა განაწილების ადგილას — საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში უნდა გაიარონ სტაჟირება ერთ წლამდე ვადით, რომლის დროს უნდა შეასრულონ თანამდებობრივი მოვალეობანი და მიიღონ ხელფასი საშტატო განრიგის შესაბამისად. სტაჟირების საერთო ხელმძღვანელობა ეკისრება იმ დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც ექვემდებარები ეს საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი.

უნდა გაიზარდოს უნივერსიტეტების როლი ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემაში და ისინი გადაიქცნენ უმაღლესი სკოლის წამყვან სასწავლო-მეთოდურ ცენტრებად. უნივერსიტეტების მეცადინეობა უნდა წარიმართოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პედაგოგებისა და მეცნიერი მუშაკების კვალიფიკაციური კადრების მომზადებისათვის, ფუნდამენტალური მეცნიერებათა დარგში კვლევის შემდგომი განვითარებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაევალათ 1973 წლის 1 იანვრისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ უმაღლესი სკოლის ხელახალი ტექნიკური აღჭურვის ღონისძიებანი, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება უმაღლესი სასწავლებლებისათვის სასწავლო-ლაბორატორიული მოწყობილობის და სწავლების ტექნიკურ საშუალებათა წარმოების გაფართოება, სასწავლო პროცესში კინოს, რადიოსა და ტელევიზიის დანერგვა, უმაღლეს სასწავლებელთა უზრუნველყოფა უახლესი ხელსაწყოებითა და მოწყობილობით, ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკით. დარგობრივმა სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა დროულად აღჭურვონ უმაღლესი სასწავლებლები სამეცნიერო და სასწავლო მოწყობილობით, განამტკიცონ მათი მატერიალური ბაზა.

უმაღლესი სკოლის მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების მომზადების, გამოყენებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ ცნეს:

დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შეიმუშაოს ახალი დებულება პროფესორებისა და მასწავლებლების თანამდებობრივი მოვალეობანი და მიიღონ ხელფასი საშტატო განრიგის შესაბამისად. სტაჟირების საერთო ხელმძღვანელობა ეკისრება იმ დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც ექვემდებარები ეს საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი.

უნდა გაიზარდოს უნივერსიტეტების როლი ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემაში და ისინი გადაიქცნენ უმაღლესი სკოლის წამყვან სასწავლო-მეთოდურ ცენტრებად. უნივერსიტეტების მეცადინეობა უნდა წარიმართოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პედაგოგებისა და მეცნიერი მუშაკების კვალიფიკაციური კადრების მომზადებისათვის, ფუნდამენტალური მეცნიერებათა დარგში კვლევის შემდგომი განვითარებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაევალათ 1973 წლის 1 იანვრისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ უმაღლესი სკოლის ხელახალი ტექნიკური აღჭურვის ღონისძიებანი, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება უმაღლესი სასწავლებლებისათვის სასწავლო-ლაბორატორიული მოწყობილობის და სწავლების ტექნიკურ საშუალებათა წარმოების გაფართოება, სასწავლო პროცესში კინოს, რადიოსა და ტელევიზიის დანერგვა, უმაღლეს სასწავლებელთა უზრუნველყოფა უახლესი ხელსაწყოებითა და მოწყობილობით, ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკით. დარგობრივმა სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა დროულად აღჭურვონ უმაღლესი სასწავლებლები სამეცნიერო და სასწავლო მოწყობილობით, განამტკიცონ მათი მატერიალური ბაზა.

უმაღლესი სკოლის მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების მომზადების, გამოყენებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ ცნეს:

დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შეიმუშაოს ახალი დებულება პროფესორებისა და მასწავლებლების თანამდებობის დაკავების წესის შესახებ, ამასთან გაითვალისწინონ, რომ მეტ მოთხოვნებს უნდა უყენებდნენ მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონეს, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა თანამდებობებზე დამნიშვნელი კომისიის როლს სტუდენტებთან მასწავლებლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის ხარისხის შეფასებაში;

1973 წელს ბელორუსიისა და ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტებში გაიხსნას საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტები ხუთ თვემდე სწავლების ვადით, სადაც მსმენელთა საერთო კონტინგენტი 400 კაცი იქნება;

უმაღლეს სასწავლებელთა შტატებში შეტანილ იქნას სტაჟიორ-მასწავლებელთა თანამდებობა ახალბეგინარში მიღების გეგმის შემცირების ხარჯზე. სტაჟირების ვადა ერთი წელი და სტაჟიორებს მიეცემათ ხელფასი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ ყოველწლიურად, სამინისტროებისა და უწყებების წარდგენებით, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, დაუწესონ მათ სტაჟიორ-მასწავლებელთა მიღების გეგმა; გაფართოვდეს ქვეყნის შორეული რაიონების უმაღლეს სასწავლებლებში კვალიფიციურ მეცნიერ-პედაგოგთა მიწვევნების პრაქტიკა, რომლებიც იქ წაიკითხავენ ლექციების კურსს, გაუწევენ დახმარებას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების გაუმჯობესებასა და სამეცნიერო კვლევის ორგანიზაციაში.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტთან ერთად უნდა განახორციელოს ღონისძიებანი მუშანტაარული უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების მომზადების გაფართოებისა და სრულყოფისათვის. გაზარდოს უმაღლეს სასწავლებელთა რექტორების პასუხისმგებლობა მუშანტაარული სპეციალობების ასპირანტურის მუშაობის ეფექტანობისათვის, მისი თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის; უზრუნველყოს ასპირანტთა მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის, უმაღლეს სკოლაში სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის მეთოდების საფუძვლიანად შესწავლა.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებების მონაწილეობით უნდა ჩაატაროს წამყვანი მეცნიერები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები ყველაზე აქტუალური მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების დარგში ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების, სტუდენტთა სადიპლომო პროექტირებისა და საწარმოო პრაქტიკის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და ასპირანტების ხელმძღვანელობის საქმეში. ცალკეულ შემთხვევებში ზემოაღნიშნული სპეციალისტები მოიწვიონ საშტატო შეთავსების პირობებით.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის ყურადღება ექცეს იმას, რომ უნდა გააუმჯობესოს მეცნიერ-პედაგოგთა კადრების ატესტაციის ხარისხი, მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინოს სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების პრეტენდენტთა მეცნიერული და პედაგოგიური მომზადებისადმი, გააძლიეროს კონტროლი სამეცნიერო საბჭოების მუშაობისადმი.

უმაღლესი განათლების ორგანოების წინაშე დასახულია ამოცანა უზრუნველყოს უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო კვლევის თეორიული დონე და ეფექტიანობა სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადების გაუმჯობესების ამოცანებთან მჭიდრო კავშირით. კომპლექსური პრობლემების მეცნიერულად დამუშავება უნდა ხორციელდებოდეს უმაღლესი სასწავლებლებისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების ინსტიტუტების თანამშრომლობით, უფრო აქტიურად უნდა ინერგებოდეს სამეცნიერო კვლევის შედეგები მატერიალური წარმოების სფეროში, სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესში, იქმნებოდეს საჭირო პირობები სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში სტუდენტთა უფრო ფართო ჩაბმისთვის.

დადგენილება ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიათა სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს უმაღლეს სასწავლებელთა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და კოლექტივების საქმიანობა წარმართონ მომავალ სპეციალისტთა მომზადებისა და კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, განამტკიცონ პარტიული გავლენა უმაღლეს სასწავლებელთა ყველა რგოლში. მეტი ყურადღებით მოეკიდონ უმაღლეს სასწავლებლებში პარტიის რიგების შევსებას პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისა და სტუდენტობის საუკეთესო წარმომადგენლებით გაზარდონ უმაღლეს სასწავლებელთა პარტიული ორგანიზაციების როლი სტუდენტთა მეცნიერული, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით მათს აღზრდაში.

ჩაუნერგონ სტუდენტებს ორგანიზებულობა და დისციპლინირებულობა, შეურიგებლობა ანტიხაზოგადოებრივ გამოვლინებათა მიმართ, მაღალი ზნეობრივი და მორალური-ეთიკური თვისებები, განავითარონ სტუდენტი ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, ჩაუნერგონ ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობის ჩვევები.

საკავშირო პროფსაბჭოსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს მიეცათ რეკომენდაცია მეტი ყურადღება დაუთმონ უმაღლეს სასწავლებელთა პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, უმაღლეს სასწავლებელთა პროფკავშირული ორგანიზაციების მთავარი ყურადღება მიაქცინონ სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის სწავლის, შრომისა და დასვენების პირობების შექმნას, მათი კულტურულ-საყოფაცოცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების უზრუნველყონ ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი განვითარება, სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედების იდეური დონის ამაღლება.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს წინადადება მიეცა აქტიურებდეს უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას სტუდენტთა კომუნისტური აღზრდის დარგში, იყენებდეს სტუდენტ ახალგაზრდობაზე კომკავშირულ ორგანიზაციათა იდეური და მორალური ზემოქმედების სხვადასხვა ფორმებსა და საშუალებებს, უნერგავდეს მას მაღალი მოვალეობისა და სწავლისათვის, კოლექტივსა და ყოფაცხოვრებაში ქცევისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში გამოთქმულია რწმენა, რომ უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა, ყველა მუშაკი, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, იხელმძღვანელებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით და ყოველ ღონეს იხმარენ უმაღლესი განათლების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ისტორიის ფურცელი

კომუნისტთა ერიკ ვეტლანდის ნინასწარგანზრახული ბრძოლა

ნიუ-იორკი. 29 ივლისი. (საკდესი). ამერიკის კომუნისტურმა პარტიამ სასამართლო წესით გაასაჩივრა ილინოისის, არიზონის, მასაჩუსეტსისა და პენსილვანიის შტატების ხელისუფალთა არამართლზომიერი გადაწყვეტილებანი, რომელთა თანახმად კომპარტიას ეკრძალება არჩევნებში მონაწილეობა, რადგან ეს არღვევს ამერიკის კონსტიტუციას.

ილინოისის შტატში, მაგალითად, შეგროვდა საჭირო რაოდენობის ხელმოწერა პეტიციაზე, რომელიც მოითხოვს კომპარტიის გენერალური მდივნის გუს ჰოლის რეგისტრაციას პრეზიდენტობის კანდიდატად და „განთავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა მუშების კავშირის“ თავმჯდომარის ჯორჯზ ტანერის რეგისტრაციას ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად.

მაგრამ შტატის ხელისუფლებამ უარი თქვეს კომუნისტი კანდიდატების რეგისტრაციაზე იმ საფუძველზე, რომ შტატში მოქმედი კანონმდებლობა არჩევნებში მონაწილეობას უკრძალავს იმ პარტიებს, რომლებიც „პირდაპირ თუ არაპირდაპირ ებრძვის უმეტესად კომუნისტურ პრინციპებს“.

ოჰაიოს შტატის მდივანმა ბრაუნმა, რომელიც აპირებს უკანონოდ გამოაცხადოს კომპარტიის პეტიცია, არ უპასუხა „მოქალაქეთა ინიციატივა თავისუფლებების დაცვის კავშირის“ იმ მოთხოვნას, რომ განამტკიცონ ამ კანონის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიზეზები.

ინდირა განდის განცხადება

დელი. 29 ივლისი. (საკდესი). სიმლეში ხელმოწერილი ინდოეთ-პაკისტანის შეთანხმება მშვიდობიანი განვითარების კარგი დასაწყისია, განაცხადა დღეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ, რომელმაც დელში სტუმარ წარმოთქვა ინდოეთის მმართველი პარტიის — ეროვნული კონგრესის აქტივისტთა წინაშე.

პაკისტანელი ხალხი, თქვა ინდირა განდიმ, სულ უფრო მეტად იზიარებს იმ აზრს, რომ კონფრონტაციის პოლიტიკა უნდა შეცვალოს სუბკონტინენტის ქვეყნების ეკონომიური განვითარების ზოლიტიკამ.

დელი. 29 ივლისი. (საკდესი). ინდოეთის პრეზიდენტმა ვ. ვ. გირიმ ხელი მოაწერა ინდოეთ-პაკისტანის სიმლეში დადებული შეთანხმების სარატიფიკაციო დოკუმენტს.

რ. ნიქსონის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 29 ივლისი. (საკდესი). პროტესტებს მთელ მსოფლიოსა და თვით შეერთებულ შტატებში იმის გამო, რომ ამერიკა ბომბავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საირიგაციო ნაგებობებს, ისეთი გაკვანება მოეცათ, რომ პრეზიდენტი რ. ნიქსონი იძულებული გახდა მოეწვია დაუგეგმავი პრეს-კონფერენცია, რომელიც თითქმის მთლიანად ამ დაბომბვებს მიეძღვნა.

პრესის წარმომადგენელ ბმა ბევრი შეკითხვა მისცეს პრეზიდენტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კ. ვალდჰაიმის ამასწინანდელი განცხადების გამო, რომელმაც დაგმო ამერიკის ავიაციის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საირიგაციო ნაგებობათა დაბომბვა.

რ. ნიქსონმა განაცხადა, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი, ისევე როგორც მისი წინამორბედი ჩაუჭიდა მოწინააღმდეგის მიერ ინსპირირებულ პროპაგანდას, რომელიც საბაბს აძლევს ბევრ კეთილმოსურნე და გულუბრყვილო ადამიანს გააკრიტიკოს ამერიკის მიერ სამოქალაქო ნაგებობათა დაბომბვა“. როგორც პრეზიდენტი ამტკიცებდა, ამერიკის პოლიტიკა „არ ითვალისწინებს ჯებირების დაბომბვას და მიზნად ისახავს დარტყმები წარმართოს მხოლოდ სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ“.

როცა პრეზიდენტს სთხოვეს განემარტა სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება, რომელმაც აღიარა, რომ დაბომბვებმა დააზიანეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საირიგაციო სისტემა, პრეზიდენტმა უპასუხა: „რაც შეეხება ამ კონკრეტულ საკითხს, შემიძლია მხოლოდ გითხრათ, რომ თუ ზარალი მართლაც მიყენებულია, ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ ეს აღარ განმეორდეს“.

„ჩვენ უნდა დავბომბოთ სამხედრო ობიექტები, — „განაცხადა შემდეგ რ. ნიქსონმა,— რათა შევასრულოთ ამოცანები, რომლებიც ჩამოვაყალიბე ჩემს 8 მაისის სიტყვაში“.

როგორც ცნობილია, 8 მაისს პრეზიდენტმა განკარგულება გასცა ჩრდილოეთ ვიეტნამის ნავსადგურებში შესასვლელთა ნაღმვის შესახებ და მთითიება მისცა ამერიკის შეიარაღებულ ძალებს დარტყმები მიეყენებინათ შინასანაოსნო გზების, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სარკინიგზო და სხვა კომუნიკაციებისათვის. ამერიკის შეიარაღებული ძალების ამ ავანტიურისტულ მოქმედებას ვიეტნამში პრეზიდენტი ამართლებდა „ამერიკელ ჯარისკაცთა სიცოცხლის დაცვითა“ და ეგრეთ წოდებული „კომუნისტური საფრთხით“, რომელიც სამხრეთ ვიეტნამს ემუქრებაო.

რ. ნიქსონმა განაცხადა, „ომის შეწყვეტის საუკეთესო და უსწრაფესი გზაა მოლაპარაკება“, და ამტკიცებდა, არ მინდა ამას „საფრთხე შეექმნასო“. ამავე დროს მან ხაზი გაუსვა, რომ ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა გაგრძელდება. პრეზიდენტს არ გამოურიცხავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საირიგაციო ნაგებობათა დაბომბვა, თუ ეს საჭირო იქნება საზიანტო რაკეტებისაგან ამერიკელი მფრინავების დასაცავადო.

ფოტოინფორმაცია



მურუროას კოლიგბონზე

როგორც ვიუწყებოდით, 21 და 30 ივნისს წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში, ატოლ მურუროას (პოლინეზია) რაიონში საფრანგეთმა განახორციელა ორი თერმოიატომური მოწყობილობის აფეთქება, რომლის მიზანი, ოფიციალური განცხადებით, „თერმოატომური ბომბების მინიატიურული ასაფეთქებლების შემოწმება“ იყო.

ბომბები ჩამოკიდებული იყო აეროსტატებზე, რომლებიც 600 მეტრის სიმაღლეზე იდგა. მესამე აფეთქება უახლოეს ხანში უნდა მოეწყოს. უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები გადმოსცემენ, რომ დაწყებული 1966 წლიდან საფრანგეთმა განახორციელა 30 ატომური გამოცდა.

სურათზე: ერთ-ერთი აფეთქების წინ. თერმოატომური მოწყობილობა ჩამოკიდებულია აეროსტატზე.

ფრანს პრესის სააგენტოს ფოტო.

მწვავდება კლასობრივი ბრძოლები

ლონდონი. 29 ივლისი. (საკდესი). ინგლისში დიდიხანია ასე არ გამწვავებულა კლასობრივი ბრძოლები. კვლავ მთლიანად შეწყდა მუშაობა ქვეყნის ყველა ძირითად ნავსადგურში. დაიწყო 42 ათასი დოკერის საერთო-ეროვნული გაფიცვა.

ისინი მთავრობასა და მეწარმეებს სთხოვენ დასაქმების გარანტიას იმასთან დაკავშირებით, რომ ნავსადგურებში ინტენსიურად ნერგავენ სამუშაოთა ავტომატიზაციას. ასალი ტექნოლოგია უმუშევრობის საფრთხეს უქმნის ათასობით დოკერს, ამავამად კი ახალი სამუშაოს პოვნის შანსი პრაქტიკულად ნულს უდრის — მიმდინარე თვეში ხომ შრომის ბირჟებზე აღრიცხულია მილიონამდე უმუშევარი. საგულისხმოა, რომ კონსერვატორთა მთავრობამ ამჯერად ვერ გაბედა დოკერთა გაფიცვის თავიდან ასაცილებლად თანამშრომლები ტელეფონით ურეკავენ ამომრჩევლებს და იძიულებენ თავიანთ წერილებში განაცხადონ, თითქოს მათი ხელმოწერა „ყალბი“ ყოფილიყოს.

ილაშქრებს რა ანტიკომუნისტური კანონების წინააღმდეგ, „კომპარტია ამით იბრძვის ყველა ამერიკელის დემოკრატიული უფლებების დასაცავად“ განაცხადა იურისტმა ჯ. ეტმმა, რომელმაც დაგმო ხელისუფალთა დისკრიმინაციული ღონისძიებანი, როგორც „მაკარტისტულ რეპრესიათა“ აღორძინების ცდა.

ახალი დანაშაული

ბეირუთი. 29 ივლისი. (საკდესი). ტელ-ავივმა ახალი დანაშაუნებრივი აქცია ჩაიდინა ლიბანის წინააღმდეგ.

ხუთშაბათს განთიადისას ისრაელის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარე დასახლებულ პუნქტს ჯებელ არ-რუსს. სროლა შეიდეგდა, რომელიც საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, დანგრეულია ბევრი სახლი, მნიშვნელოვნად დაზიანებულია ნათესები.

სიცხის შემდეგ — ქარი

პოლონეთელებს არ ახსოვთ ისეთი მართლაც რომ ტროპიკული სიცხე, როგორიც მთელი პოლონეთის ტერიტორიაზე იყო უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე.

დღისით საშუალო ტემპერატურა ჩრდილში აქ 32 გრადუსს აღწევდა. ოთხშაბათს შუა დღეს ხიცხე ისე მოულოდნელად გაქრა, როგორც დადგა.

ცივი ჰაერის მასებმა გადმოლახეს ტატრისა და ბეშჩადის ქედები და პოლონეთის სამხრეთ სავოევოდოებში გამოიწვიე ეს ძლიერი კოკისპირული წვიმა და ქარი, რომელებმაც დიდი ზარალი მიაყენეს რესპუბლიკას — დაწყვეტილია კავშირგაბმულობის ხაზები, დაზიანებულია სახლების სახურავები. რეგისტრირებულია მეხით გაჩენილი ბევრი ხანძარი. კერძოდ, დიდი ხანძარი გაჩნდა ფეშუფის სტუდენტთა საერთაშორისო სასტუმროს შენობაში, როგორც იუწყებიან, სტიქიურ უბედურებას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

აბობოქრებული სტიქიონი

ფილიპინებზე მდგომარეობა კვლავ მძიმეა. წყალდიდობამ უდიდესი უბედურება მოუტანა ქვეყანას. წინასწარი გამოანგარიშებით, საერთო ზარალი 400 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს. ორი მილიონზე მეტი კაცი უსახლკაროდ დარჩა.

აბობოქრებული სტიქიონის მსხვერპლთა რიცხვი მატულობს. ოფიციალური მონაცემების თანახმად, დაიღუპა 256 კაცი. ტარლაკის პროვინციაში რამდენიმე კაცი მეწყერმა ცოცხლად ჩამარხა. ლუსონის კუძულზე, რომელიც ყველაზე უფრო დაზარალა წყალდიდობამ, ბევრი ქალაქი და სოფელი უწინდებურად მოწყვეტილია გარე სამყაროს.

მუსონური წვიმები

მუსონურმა წვიმებმა ინდოეთის აღმოსავლეთ რაიონებში დიდი წყალდიდობა გამოიწვიეს ასამისა და დასავლეთ ბენგალიის შტატებში. მარტო დჰემაჯის რაიონში (ასამის შტატი) წყალდიდობამ დაზარალა 50 ათასი კაცი. ბევრ რაიონში შეწყდა სარკინიგზო მიმოსვლა.

მიზეზები გაურკვეველია

უჩვეულო დიდი მოქცევა შეიმჩნევა უკანასკნელ დღეებში იაპონიის წყნარი ოკეანის სანაპიროზე. იგი 10-15 სანტიმეტრით უფრო მაღალია, ვიდრე ქვეყნის სხვა რაიონებში, რამაც წყალდიდობა გამოიწვია რამდენიმე ქალაქში, დაარღვია მოძრაობა რკინიგზებსა და ავტომაგისტრალებზე.

**როგორც იაპონელი მეტეოროლოგები ამბობენ, ამ მოვლენის მიზეზები ვერ გამოურკვევიათ. შეიძლება ეს იმ ტაიფუნების შედეგი იყოს, რომლებიც ამ ბოლო დღეებში დაატყდა იაპონიას

ჩვენი მრავალფეროვანი პლანეტა

ოკეანეში მიმალული კუნძულები

ჩამორჩენილი მონოკულტურული სოფლის მეურნეობა, სამრეწველო წარმოების უქონლობა, მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე — ასეთია სეიშელის კუნძულების — ინგლისის კოლონიის სინამდვილე.

ვბეჭდავთ ჟურნალ „ფუა ან აფრიკაში“ (პარიზი) დაბეჭდილ ჟოზეფ ლიმანის სტატიას, რომელიც მოგვითხრობს ამ შორეული არქიპელაგის შესახებ.

„სეიშელი სამოთხეა კაპიტალის დაბანდებისათვის. დაბანდეთ, დაბანდეთ, დაბანდეთ!“ — სეიშელის ადმინისტრაციის ეს მოწოდება არ სცილდება ამ უკანასკნელ ხანებში ინგლისის პრესის ფურცლებს. არქიპელაგი, რომელიც დიდხანს რჩებოდა განზე მსოფლიოს გზებისაგან, ახლა სანაპირო მიმოსვლის წყალობით, უკუნეთიდან ზედაპირზე იწყებს „ამოტივტივებას“.

სეიშელელები ძირითად აქცენტს ტურიზმზე აკეთებენ, რომლის მთავარი კოზირებია სასწაულებრივად შემორჩენილი ხელუხლებელი ბუნების სილამაზე, ბრწყინვალე პეიზაჟები, მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა.

სეიშელის არქიპელაგი ეს არის 92 კუნძული (404 კვადრატული კილომეტრი) ინდოეთის ოკეანის დასავლეთ ნაწილში, მადაგასკარის რჩდილოეთით. კუნძულების მესამედი ვულკანური წარმოშობისაა, დანარჩენი—მარჯნისა. აღწერის მიხედვით არქიპელაგის მოსახლეობა 52 ათას 400 კაცისაგან შედგება. სამი მეოთხედი მთავარ კუნძულ მაეზე ცხოვრობს, ამასთან მისი მეოთხედი სეიშელის ერთადერთ ქალაქსა და დედაქალაქ ვიქტორიაში.

ინგლისელი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ოსტ-ინდოეთის კომპანიის გემის ეკიპაჟი პირველი იყო, რომელმაც სეიშელის კუნძულების მიწაზე დადგა ფეხი 1609 წელს. მაგრამ პირველი ზუსტი ცნობები არქიპელაგის შესახებ მიღებულ იქნა 1742 წელს ექსპედიციისაგან, რომელიც მავრიკის კუნძულიდან გაიმგზავრა ლაზარ დე ბიკოს ხელმძღვანელობით. 1756 წელს ყური მოჰკრეს რა, რომ ინგლისელები ამ ადგილებში „ახალ მიწებს“ ეძებდნენ, საფრანგეთმა დაიკავა მაე და 7 მეზობელი კუნძული. ახალ სამფლობელოებს სახელწოდება მაშინდელი ფინანსთა მინისტრის ვიკონტ მორო დე სეშელის პატივსაცემად მიაკუთვნეს.

ახალმოსახლე ფრანგები აქ 1768 წელს გამოჩნდნენ. მათ თან ჩამოიყვანეს შავი მონები და გახდნენ არქიპელაგის პირველი მუდმივი მბინადრენი. ეს იყო ფრანგებსა და ინგლისელებს შორის არქიპელაგისთვის გააფთრებული ბრძოლების პერიოდი. კუნძულები ხელიდან ხელში გადადიოდა. 1810 წელს მავრიკი და სეიშელის კუნძულები საბოლოოდ გადავიდა ინგლისელთა განმგებლობაში. მე-19 საუკუნის ბოლოს კუნძულზე ინდოელმა და ჩინელმა ვაჭრებმა დაიწყეს დასახლება. რასებისა და ეროვნებების აღრევა შეუძლებელს ხდის კუნძულების მოსახლეობის რაინე კლასიფიკაციას ეთნიკური თვალსაზრისით.

1903 წლის 31 აგვისტოს მეფის ბრძანებულებით კუნძულები ჩამოსცილდა მავრიკს ადმინისტრაციულად და აყვანილ იქნა ბრიტანეთის კოლონიის რანგში. ლონდონისათვის სიტყვა სეიშელი „დათვის ბუნაგის“ სინონიმი იყო. ბრიტანელებმა კუნძული გადაქციეს „ინიშნველოვან პიროვნებათა“ გადასახლების ადგილად (ამ გადასახლებაში იმყოფებოდა კერძოდ, კვიპროსის ახლანდელი პრეზიდენტი, არქიეპისკოპოსი მაკარიოსი).

და-აი მოულოდნელად სეიშელის კუნძულებმა გამოიღვიძა საუკუნის თვლემისაგან. ყველაფერი 1968 წელს დაიწყო, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტა მაეზე აეშენებინა თანამედროვე საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც შეიძლებოდა ყველაზე დიდი თვითმფრინავების მიღებასაც კი.

სამხრეთ როდეზიის ბლოკადის საბაბით ბრიტანეთის ფლოტი ქმნის სტრატეგიულ ბაზებს მარჯნის დაუსახლებელ კუნძულებზე.

ინდოეთის ოკეანე ბევრს უღვიძებს მადას და უკვე 1970 წელს ჩაგოსის არქიპელაგის დიეგო-გარსიას კუნძულზე გაშენდა ამერიკა-ინგლისის სამხედრო ბაზა.

აი უკვე რამდენიმე წელიწადია სეიშელის კუნძულების მცხოვრები „საშუალება აქვს ამერიკელები იხილონ საკუთარ სახლში. ყველა შეეჩვია სეიშელის გორაკზე, რომელიც მაეს ყოველი წერტილიდან ჩანს, ხედავდეს თანამგზავრების თვალყურსადევნებელ გიგანტურ რადიოლოკატორს, რომელსაც 1970 წლიდან 200 ამერიკელი ემსახურება.

სეიშელის ადმინისტრაციის მთავარმა მინისტრმა ჯეიმს მენჭენნა თავისი დღეგანდელი პოსტი 1970 წელს დაიკავა, როდესაც დემოკრატიულმა პარტიამ, რომელსაც იგი მეთაურობს, გაიმარჯვა არჩევნებში. არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე შეცვლილ იქნა სეიშელის სტატუსის ძირითადი მარეგულირებელი კანონი, რის შედეგადაც დაარსდა მინისტრთა საბჭო მენჭენის თავმჯდომარეობით. საბჭოში შედის უმრავლესობის პარტიის — დემოკრატიული პარტიის 5 წარმომადგენელი, მათ 15-დან 10 ადგილი აქვთ საკანონმდებლო ასამბლეაში.

სურათებზე: დედაქალაქი ვიქტორია (ზემოთ) სეიშელის კუნძულების ერთადერთი ქალაქია. აქ მოსახლეობის მეოთხედს მოუყრია თავი; მოსახლეობის უმრავლესობა სოფლებსა და მეგობრულთა დასახლებებში (ქვემოთ) ბინადრობს.

ათასნაირი ამბები

ასე ცხოვრობდნენ ძველი ბერძნები

საბერძნეთში ამას წინათ გაიმართა სამეცნიერო სიმპოზიუმი, რომელიც მოაწყო ძველ საბერძნეთში ურბანიზაციის საკითხების შემსწავლელმა სამეცნიერო-საკვლევმა ცენტრმა. სიმპოზიუმის მონაწილეებმა გამართეს პრეს-კონფერენცია, რომელზეც მრავალი საინტერესო ფაქტი მოიყვანეს.

დადგენილია, მაგალითად, რომ ანტიკური საბერძნეთის მოსახლეობა დღევანდელი საბერძნეთის საზღვრებში დაახლოებით ათ მილიონ მცხოვრებს ითვლიდა (თითქმის ერთი მილიონით მეტს, ვიდრე დღეს), ბერძენთა საერთო რიცხვი კი, რომლებიც ანტიკური ელადის ტერიტორიაზე სახლობდნენ, 20 მილიონს უახლოვდებოდა.

ძველი ბერძნული დასახლებანქალაქების ადგილმდებარეობა — მათი რიცხვი კი, როგორც ვარაუდობენ, 700-800 იყო — გეოგრაფიულად ემთხვევა თანამედროვე დასახლებათა ცენტრებს. საშუალოდ თვითეული ასეთ ქალაქში, რომელთა ნაწილი შეადგენდა „ქალაქ-სახელმწიფოებს“, ათეინს მსგავსად, ან „ქალაქთა კავშირს“ — (რაც ანტიკურ სახელმწიფოებს ქმნიდა), ცხოვრობდა 5-დან 10 ათასამდე კაცი. მაგრამ ზოგიერთ ძველ ქალაქში, მაგალითად, სპარტაში 40 ათასი მცხოვრები იყო (დღეს სპარტაში, პელოპონესის პროვინციულ ცენტრში, მხოლოდ 10.412 მცხოვრებია).

როგორც პრეს-კონფერენციაზე აღნიშნეს, ანტიკურ ქალაქებში ცხოვრება სასარგებლო ვერ იყო სანიტარული პირობებისა და სიხუფთავის თვალსაზრისით. ათენს, მაგალითად, არ გააჩნდა საკუთარი სასმელი წყალი და კანალიზაციის სისტემა.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ დღესაც საბერძნეთის დედაქალაქის მთელ რიგ რაიონებში არ არის (ცენტრალიზებული კანალიზაციის სისტემა, განსაკუთრებით გარეუბნებში და ზღვისპირა დასახლებებში.

ლივორნო—ვიზა—ჟენუა

რომი, წმიდა პეტრეს ტაძრის გუმბათი.

დაუვიწყარი 12 დღე

საქართველოს დელეგაცია იტალიაში

იტალიელი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში მეგობრობის ახალი, ბრწყინვალე ფურცლები გადაიშალა. ამ მეგობრობას საფუძველი მაშინ ჩაეყარა, როდესაც მეორე მსოფლიო ომში იტალიის მიწაზე ქართული სისხლი პირველად დაიღვარა.

ხუთი ათასი საბჭოთა პარტიზანი მოქმედებდა მაშინ იტალიაში ადგილობრივი პატრიოტების მხარდამხარ. ვაჟკაცურად, თავგანწირვით ებრძოდნენ ისინი ფაშისტ ბარბაროსებს. ბევრი მათგანი სამუდამოდ დაეცა უცხო მიწაზე.

მათ შორის, ვინც შორეულ იტალიაში სამშობლო ასახელა, დიდება და სახელი შემატა საბჭოთა ჯარისკაცის იარაღს, იყო საქართველოს საამაყო შვილი ფორე ნიკოლოზის-ძე მოსულიშვილი.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა შარშან სტუმრად მოიწვია ყოფილი იტალიელი პარტიზანები, ამავდარი ადამიანები, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს ფორეს და სხვა ქართველ მეომართა სახელების უკვდავსაყოფად.

და აი ამ ცოტა ხნის წინათ ნოვარის პროვინციის პარტიზანთა ასოციაციის მიწვევით საქართველოს დელეგაცია საპასუხო ვიზიტით ეწვია იტალიას. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს სხრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგე ა. კარანაძე (დელეგაციის ხელმძღვანელი), საბჭოთა კავშირის გმირი, ქართველ პარტიზანთა სექციის თავმჯდომარე, საქართველოს მარმარილოს ტრესტის მმართველი დ. ბაძრაძე, ფორე მოსულიშვილის ძმა, სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობის წევრი ზ. მოსულიშვილი, იტალიაში მამაცურად დაღუპული ქართველი მეომრის შეგონა ღურწკაიას შვილი, ზუგდიდის ქალალდის კომბინატის მუშა რ. ღურწკაია, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების რეფერენტი, „იტალია-სხრ კავშირის“ მეგობრობის საქართველოს განყოფილების მდივანი ი. ცაბარეიშვილი, ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის წარმომადგენელი ა. კრილოვი და ჟურნალისტი ვ. ესვანჯია — სულ შვიდი კაცი.

იტალიელმა ხალხმა გამორჩეული შეხვედრა მოუწყო ფორე მოსულიშვილის თანამემამულეებს. საქართველოს დელეგაცია მიიღეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯოვანი ლეონემ და იტალიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ლუიჯი ლონგომ, დელეგაციის წევრები შეხვდნენ მრავალ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისა და პარტიების წარმომადგენლებს, ათასობით რიგით იტალიელს...

ეს იყო დაუვიწყარი თორმეტი დღე.

ჩვენ ვთხოვეთ ჟურნალისტ ვ. ესვანჯიას ყოველივე ამაზე დაწვრილებით მოეთხრო „კომუნისტის“ მკითხველებისათვის.

დარბაზობა ქვირინალეში

საბჭოთა ლაინერ „ილ-64“-ის სალონიდან ფეხის გადმოდგმაც ვერ მოვასწარით, რომ მეგობრების მჭიდრო გარემოცვაში აღმოვჩნდით. რომში, ფომიჩინოს საერთაშორისო აეროდრომზე, ჩვენ გველოდნენ ძველი მეგობრები და მასპინძლები ერალდო გასტონე და ალბინო კალეტი, მაურო გალენი და ფაუსტო დელ პინტჯი, იტალიის ეროვნული გმირი ქალი, პარლამენტის დეპუტატი კარლა კაპინე, პარტიზანთა ეროვნული ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი ფაუსტო ნიტი, გაზეთ „პატრიას“ რედაქტორი ალფონსო ბარტოლინი, გარიბალდელთა პარტიზანული ბრიგადის „სეფიადეის“ ყოფილი მეთაური არმანდო კალდარა, საბჭოთა სამხედრო ატაშეს ივანე კაშკოვი, საელჩოს პირველი მდივანი ვლადიმერ ივანოვი, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და მრავალი სხვა.

პირველი მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ, ბარგის მიღების მოლოდინში, მასპინძლებმა ბარში შეგვიპატეჟეს.

აქ გავიგეთ, რომ დღესვე, 7 საათზე ჩვენს მიღებას აპირებს იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯოვანი ლეონე.

ვინაიდან პრეზიდენტს მიღების საათი თვითონ დაუნიშნავს და ჩვენთვის რჩება არ უკითხავს, რა გაეწყობოდა, მიუხედავად მოულოდნელობისა და დაღლილობისა, უარი არ გვითქვამს, დავთანხმდით.

მეგობრებმა რომის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, სასტუმრო „მილანში“ დაგვაბინავეს, მალე კი მეზობელ რესტორან „გლადიატორში“ დიდი ბანკეტი გაგვიმართეს.

თუმცა სტუმარ-მასპინძლებს პირველ სუფრაზე ერთმანეთისათვის ბევრი რამ გვქონდა სათქმელი, მაგრამ პრეზიდენტთან შეხვედრის ფიქრი არ გვასვენებდა. ჩემი აზრით, იმ დროს პრეზიდენტიც ჩვენზე ფიქრობდა — იგი დღეს პირველად იღებდა უცხოეთის ოფიციალურ დელეგაციას!

როგორც ცნობილია, ჯ. ლეონე რესპუბლიკის პრეზიდენტად ბირჩიეს 1971 წლის 24 დეკემბერს. ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა მხოლოდ 23-ე ტურში შეძლო ხმების უმნიშვნელო უმრავლესობის (ნახევარზე სულ 13 მანდატით მეტი) შეგროვება). ის რამდენიმე ხმა, რომელმაც კვირინალეს სასახლის ახალი ბინადრის ბედი გადაწყვიტა, მას ნეოფაშისტებმა და ანარქისტებმა შეაშველეს. თუმცა მმართველი პარტიის მესვეურნი არჩევნების შემდეგ თავგამოდებით ამტკიცებდნენ, მათი დახმარება არაფერში გვეპატაკვებოდაო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. მაღე პრეზიდენტის არჩევნებს მოჰყვა იტალიის სინამდვილეში უპრეცედენტო შემთხვევა — პარლამენტის ვადამდე ერთი წლით ადრე დათხოვნა. ახალი პარლამენტის არჩევას (7-8 მაისი) ქვეყნის პოლიტიკური კრიზისი არ გადაუჭრია. ჩვენი იქ ჩასვლისას მთავრობა ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი (იგი ზუსტად ექვსი დღის შემდეგ შეიქმნა).

აი ასეთმა კაცმა, ასეთ რთულ ვითარებაში საჭიროდ ჩათვალა ჩვენი მიღება.

შვიდს ოცი წუთი აკლდა, ერალდო გასტონესა და ალბინო კალეტის თანხლებით, სამი შავი „მერსედესით“ სასტუმროდან რომ გავედით.

სასახლის ეზოში პოლიციელებმა თავაზიანად მიგვითითეს მოპირდაპირე სადარბაზოზე. ცერემონმეიესტერი მარმარილოს თეთრი, დახვეული კიბით მესამე სართულზე გვიძღვა. ჩვენი ყურადღება მიიპყრო სართულების ბოლოებსა და კვირინალეს უამრავი დარბაზების კარებთან გაჭიმულმა არაჩვეულებრივი სიმაღლის ფიგურებმა. თავდაპირველად ფიტულები გვეგონა, მაგრამ როგორც კი მივუახლოვდებოდით, ძვლმხედრულ ეროვნულ ფორმაში გამოწყობილი ბუმბერაზები ხმაურით შემოკრავდნენ დროშებს და ხელის მკვეთრი აქნევით გვესალმებოდნენ. ჩვენი გიგანტი დგომით ბაჭრაძე მათ მხრებამდეც ვერ ხწვდებოდა.

შემდეგ გავიგეთ, რომ კორაციერებად (ასე ეძახიან პრეზიდენტის გვარდიელებს) 196 სანტიმეტრზე ნაკლები სიმაღლისას არ იღებენ. იმ დღეს კი, საკანგეთად კიდევ უფრო მაღალი და ჩაეკეი ვაკაკეები გამოეყვანათ.

კვირინალეს ერთ-ერთი უბრწყინვალესი დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. აქ თავი მიეყარათ რესპუბლიკის მინისტრებს, გენერლებს (მათ შორის, გენერალური შტაბის უფროსს), პრეზიდენტთან დაახლოებულ პირებს, საზოგადოებრიობის, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს. აქვე იყვნენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში ნიკიტა რიჟოვი და საბჭოთა სამხედრო ატაშეს თანამშრომლები.

იმ დღეს პრეზიდენტი რომიდან რამდენიმე ასეულ კილომეტრზე ყოფილა ეს სპეციალურად საქართველოს დელეგაციის მისალებად ჩამოსულა.

ცერემონმეისტერმა, საკმაოდ უცერემონიოდ, სტუმრებსა და მასპინძლებს დარბაზში ჩვენ-ჩვენი ადგილი მიგვიჩინა.

ზუსტად შვიდ საათზე გვერდითი კარიდან დაბალი, ჩია კაცი შემოვიდა. პრეზიდენტის მოლოდინში ჯერ ისევ კარებს იქით ვიხედებოდით, ელჩმა რომ გვანიშნა, უკვე შემოვიდაო. კორაციერების შემდეგ, მარცალი ვითხრათ, ისე განვიცდიდით, გვეგონა პრეზიდენტიც ბუმბერაზი იქნებოდა. ვერც პრეზიდენტმა გაგვარჩია ერთბაშად. ალბათ, საბჭოთა კავშირიდან ჩვენისთანა შავგვრემანებს არ ელოდა...

ერალდო გასტონემ სათითაოდ წარუდგინა პრეზიდენტს დელეგაციის წევრები. სახელმწიფოს მეთაურმა, მიუხედავად თავისი 64 წლისა, სამხრეთელისათვის დამახასიათებელი სიმკვირცხლით ჩამოგვართვა ხელი. ახლოდან იგი საკმაოდ სიმპათიური და სანდომიანი მეჩვენა.

თავის სიტყვაში ა. კარანაძემ მადლობა უთხრა პრეზიდენტს საბჭოთა საქართველოს დელეგაციის მიმართ ესოდენ დიდი ყურადღების გამოჩენისა და მისი მიღებისათვის.

თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებაში, — თქვა მან, — ჩვენ ვხედავთ დიდ პატივისცემას საბჭოთა ადამიანებისადმი, ქართველი ხალხისადმი, თქვენი მაღალი ზრუნვის გამოვლინებას ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისადმი.

დელეგაციის მეთაურმა, ქართველი ხალხის სახელით, მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს ფორე მოსულიშვილის საბრძოლო დამსახურების მაღალი შეფასებისათვის.

პრეზიდენტმა საპასუხო სიტყვაში კმაყოფილებით აღნიშნა ჩვენი დელეგაციის მეტად ჰუმანური მისია — პატივი სცეს მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიის მიწაზე ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაცემულ თანამემამულეთა ხსოვნას. მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა მებრძოლების როლს იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში, განსაკუთრებით ფორე მოსულიშვილის საბრძოლო თავდადებას, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად სიკვდილისაგან იხსნა იტალიელ და ქართველ პარტიზანთა ჯგუფი.

— ჩვენ ვიცით, თქვა ჯ. ლეონემ, რომ თქვენ ქართველი გმირის საფლავზე სამშობლოდან მიგაქვეთ გრანიტის სამახსოვრო ძეგლი. ეს არის უაღრესად კეთილშობილური გაწრაფვა. ამასთან, მინდა დაგიმშვენოთ, რომ ჩვენი ხალხი ყოველთვის სათუთად შეინახავს იტალიის თავისუფლებისათვის დაღუპულ საბჭოთა მეომრების ხსოვნას, სიყვარულითა და სასოებით მოუვლის მათს საფლავებს.

შემდეგ პრეზიდენტმა აღნიშნა საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი როლი მეორე მსოფლიო ომში, ევროპის განთავისუფლებაში, შვიდობის განმტკიცებაში, ილაპარაკა ფაშიზმისა და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობაზე.

პრეზიდენტის ნათქვამს ახალგაზრდა ტენორები გვისურვა მოგზაურობაში.

იმავე დღეს პროფესიონალი გიდის თანხლებით დავთვალიერეთ რომის ღირსშესანიშნაობანი, ხელოვნებისა და არქიტექტურის დიდებული ძეგლები— ვენერიციის, ესპანეთისა და სახალხო მოედნები, ტრევისა და ტრიტონის შადრევნები, რომის იმპერიის ბრწყინვალე ნაშთები — ფორო რომანო და კოლიზეუმი, ვნახეთ ხელოვნების მსოფლიო შედევრებით მოფენილი ვატიკანის უმდიდრესი გალერიები, ადამიანის ვენიის საოცარი ქმნილებანი — მიქელანჯელოს სიქსტის კაპელა და წმიდა პეტრეს ტაძარი...

ლივორნო—ვიზა—ჟენუა

უკვე საღამო იყო, როცა ოცდახუთადგილიანი კომფორტული ავტობუსით რომიდან ლივორნოსაკენ მიმავალ გზატკეცილს დავადექით. ამ მანქანით სამი ათასამდე კილომეტრი გავიარეთ. სხვათა შორის, იგი პირველსავე დღეს აეროდრომზე დაგვხვდა ტენორები გვისურვა მოგზაურობაში.

იმავე დღეს პროფესიონალი გიდის თანხლებით დავთვალიერეთ რომის ღირსშესანიშნაობანი, ხელოვნებისა და არქიტექტურის დიდებული ძეგლები— ვენერიციის, ესპანეთისა და სახალხო მოედნები, ტრევისა და ტრიტონის შადრევნები, რომის იმპერიის ბრწყინვალე ნაშთები — ფორო რომანო და კოლიზეუმი, ვნახეთ ხელოვნების მსოფლიო შედევრებით მოფენილი ვატიკანის უმდიდრესი გალერიები, ადამიანის ვენიის საოცარი ქმნილებანი — მიქელანჯელოს სიქსტის კაპელა და წმიდა პეტრეს ტაძარი...

ეს ბოლო ადგილი ალბათ ყველაზე მეტ ინტერესს იწვევდა ჩვენ ყველა ტურისტებს. ეს ტაძარი ალბათ ერთადერთია ამ ტიპის ნაგებობათა ასეულებს შორის, ეკუთვნის ერთ ადამიანს, ერთ ოსტატს, ერთ ადამიანურ ნებას

ლექციები პრაღასა და გელათში

აბლაბან პრაღის პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე — „კომენსკის ფილოსოფია“. ლექციას ესწრებოდნენ ჩეხი კომენოლოგები, პედაგოგიკის თეორეტიკოსები და ისტორიკოსები.

ლექციის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ჩეხმა პროფესორებმა — ჩეხოსლოვაკიის განათლების მინისტრის მოადგილემ მ. ციპრომ, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა, ს. მარკანმა, ვ. პავლასეკმა, ვ. ციხამ, დ. ნესლიეჯოვამ. ლექციამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

გელათის სახალხო აკადემია თანდათან შოლის ფრენებს — იკრებს ძალებს, და მისი მუშაობა უფრო და უფრო საინტერესო ხდება.

ამ დღეებში გელათის სახალხო აკადემიის მსმენელებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს აკადემიკოს გ. ჯიბლაძის ლექცია რუსთაველის ესთეტიკური სამყაროს შესახებ. და ამ უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს სიმ. ყაუხჩიშვილის მოხსენება გელათის ეტიმოლოგიის შესახებ.

ლექციამ — რუსთაველის „ესთეტიკური სამყაროს შესახებ ორ საათზე მეტ ხანს გასტანა, მას ათასზე მეტი კაცი დაესწრო.

ბ. ალექსიძე.

უძველესი მეთოდით...

თბილისში გაიხსნა ნემსის ჩხვლეტით მკურნალობის კაბინეტი

ნემსის ჩხვლეტა, როგორც ამბობენ, მედიცინაში მკურნალობის ერთ-ერთი უძველესი მეთოდია. საბჭოთა კავშირში ნემსის ჩხვლეტის შესწავლა და სამკურნალო პრაქტიკაში გამოყენება შედარებით დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო. ამჟამად ნემსის ჩხვლეტით მკურნალობის მეთოდს ბევრ კლინიკაში იყენებენ.

თბილისში სამ წელზე მეტია ნემსის ჩხვლეტის მეთოდით მკურნალობს ნეიროპათოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. კვირკელიშვილი. მას აქვს სპეციალური აღრიცხვა იმ ავადმყოფებისა, რომლებიც დაავადებულნი იყვნენ სამწვერა ნერვის ნევრალგიით, იშიასით, წელ-მენჯისა და კისერ-მკერდის რადიკულიტით, სახისა და მცირე წვივის ნერვების ანთებით, ბაკიკით და სხვ. ყველანი ნემსის ჩხვლეტის მეთოდით მკურნალობის შედეგად ახლა კარგად გრძნობენ თავს.

სამწუხაროდ, ყველა ავადმყოფის მიღება და მკურნალობა არ ხერხდებოდა სამკურნალო კაბინეტის უქონლობის გამო. ამიტომ უდავოდ კარგად მოიქცა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო რომელმაც გადაწყვიტა ნემსის ჩხვლეტის მეთოდით სამკურნალო კაბინეტის მოწყობა.

ამ დღეებში მე-18 პოლიკლინიკასთან თბილისის ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ (უფროსი ლ. აბაშიძე) გახსნა ნემსის ჩხვლეტის მეთოდით სამკურნალო კაბინეტი, რომელსაც ნეიროპათოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. კვირკელიშვილი ხელმძღვანელობს.

შ. ჭოჭუა.

საზაფხულო იალაღებზე

ონი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ონის კულტურის სახლის აგიტ-მხატვრული ბრიგადა მამისონის საზაფხულო იალაღებზე ეწვია გომის, გადამშის, ნაკიეთის, კომანდლის და სორის კოლმეურნეობების მეცხოველეებს. ბრიგადის წევრებმა შეასრულეს ქართული ცეკვები, წარმოადგინეს სკეტჩები.

რაიონის მთავარმა ვეტექიმმა ხ. გორგიაშვილმა მეცხოველეებს წაუკითხა ლექცია თემაზე „ცხოველთა დაავადება და მისი პროფილაქტიკა“.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ბავშვები ჩვენს ირგვლივ



ეს სურათები „კომუნისტის“ ფოტოკონკურსისათვის გამოგზავნეს ფოტოჟურნალისტებმა რ. ბოლქვაძემ წარწერით „პაპის ქოლგით“, ბ. სანაიამ — „ჩემი ძმაკაცი“, ბ. დადვაძემ — „რა გემრიელია“.

იმკურნალეთ ალპანაში

ცაგერი, (საკ. კორ.). ალპანის თერმული წყლის სამკურნალო თვისებები კარგად არის ცნობილი. იგი სუკეთესო შედეგს იძლევა სისხლძარღვების, ნერვული სისტემის, რევმატიზმისა და სხვა დაავადებათა მკურნალობისას. აქაურმა ექიმებმა ბევრი მძიმე ავადმყოფი განკურნა.

თერმული წყლის ალაზანებზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება. ამიტომ ალპანის კოლმეურნეობის გამგეობამ გადაწყვიტა გაეფართოებინა ეს შესანიშნავი სამკურნალო ბაზა. ამ დღეებში უკვე დამთავრდა სარემონტო და ქვითკირწყობითი სამუშაოები. შეკეთდეს საბაბანო შენობა და საცხოვრებელი ბინები.

ძვირფასი არქეოლოგიური ნაპოვნი

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის დასავლეთით სოფელ ნავარძეთში მარგანმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს მუშებმა კ. კაპანაძემ და ს. ბოქორიშვილმა ელექტროგანათების ბოძისათვის ორმოს გაჭრისას მიწაში იპოვნეს ადამიანის ჩონჩხი, კერამიკის ნატეხები და ბრინჯაოს სამაჯურები, რომლებიც ადრეული ბრინჯაოს ხანის უნდა მიეკუთვნოს.

ნავუთის დასახლებაში — სოფელ რგანის შესახვევთან გ. მაჭარაშვილმა ასევე მიწის თხრისას იპოვნა კერამიკის ფრაგმენტები და ცხოველთა ძვლები. კერამიკას წნული ორნამენტები აქვს. აქ ადრეულ რკინის ხანაში ადამიანი ცხოველად ეკუთვნოდა.

ალექსანდრე ომიაძე

ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. მიმდინარე წლის 27 ივლისს 70 წლის ასაკში გარდაიცვალა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ალექსანდრე ასლანის-ძე ომიაძე.

ალექსანდრე ომიაძე დაიბადა 1902 წელს. საშუალო განათლება მან ქ. ხაშურის გიმნაზიაში მიიღო, რომელიც 1923 წელს დამთავრა.

1923-1924 წლებში ა. ომიაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. 1924-1925 წლებში კი გაწვეულ იქნა წითელი არმიის რიგებში.

სცენაზე პირველად მოწაფეობის დროს გამოვიდა გიმნაზიის დრამწრის წარმოდგენაში, შემდეგში კი დროგამოშვებით მონაწილეობას იღებდა ხაშურის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა კლუბთან არსებული დრამწრის წარმოდგენებში, ხოლო შემდეგ ხაშურის მუშათა თეატრში გამოდიოდა.

ა.ლ. ომიაძე 1932-1935 წლებში მიიწვიეს ქ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრში მსახიობად.

1935 წლიდან გარდაცვალებამდე ა.ლ. ომიაძე მუშაობდა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში როგორც თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი.

თავისი ნაყოფიერი მუშაობით ქართულ თეატრში, კინოში, რადიოსა და ტელევიზიაში, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით ა.ლ. ომიაძემ სამართლიანად დაიმსახურა როგორც თეატრის კოლექტივის, ისე ფართო მაყურებელი საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა. მის მიერ შესრულებული მთელი რიგი როლები, როგორიც არის ჩონთა, („მოკვეთილი“), გენო („ჭრიგალი“), თომა („დაბრუნება“), კალე („გამეხარე“), ოორნეკი („ხარატაანთ კერა“), მოხუცი მწყემსი ილეი („მისი ვარსკვლავი“) და სხვ. გაშუქებულია ადამიანური სითბოთი, უშუალობით, ცხოვრების ცოდნით.

ხალხის საყვარელმა მსახიობმა ა.ლ. ომიაძე მთელი რიგი როლებს შეასრულა ეროვნულ-ეროვნული სასცენო („ეროვნული სასცენო“) — ზურაბ ერისთავი („გეორგი საკაძე“), გიორგი („ჭრიჭინა“), გიგო პაპა („მაგდანას ლურჯა“), ტარიელ გოლუა („ტარიელ გოლუა“), ვახტანგ მელქესე („დავით გურამიშვილი“), პროკურორი („მე ვიტყვი სიმართლეს“), პეპია („ბლახის ნაამობი“), და მრავალი სხვ.

ალ. ომიაძე იყო რეალისტი მსახიობი. მის მიერ დიდი სიმარტივით შესრულებული როლები გამოირჩეოდა შესრულების ოსტატობითა და უშუალობით. ალ. ომიაძის მიერ შექმნილი სახეები დიდი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა. მისი ვირები გამოხატავდნენ ჰუმანურ იდეებს. იგი განსაკუთრებული გულწრფელობით სატავდა ქართველი გლეხკაცის სახეებს, ასეთი იყო მისი ბერუნა („მეფე ერეკლე“), ანანია („ღალატი“), გიორგი კობაძე („მკვდრის მზე“), რომლებიც აშშვენებენ მსახიობის მდიდარ შემოქმედებით ბიოგრაფიას.

უკანასკნელ წლებში ალ. ომიაძე დიდი გატაცებით მუშაობდა რადიოს სამაგვრო გადაცემებში. ბავშვებისათვის ახლობელი და საყვარელი გახდა მისი ხმა, რომელიც დიდი ხითბოთი ამცნობდა ქართული ზღაპრების გმირთა ოჯაგადასვლას.

პარტიამ და ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასეს ალ. ომიაძის ღვაწლი. 1943 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, ხოლო 1953 წელს სახალხო არტისტის სამაგალო წოდება, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის და „სპასტიო ნიშნის“ ორ ორდენით და მედლებით. 1952 წელს მიენიჭა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება სპექტაკლში „მისი ვარსკვლავი“ ილიას როლის შესრულებისათვის.

ალ. ომიაძე ხიდიოცხლის უკანასკნელ დღემდე ნაყოფიერ, დაუღალავ და ენერგიულ შრომას ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებისათვის.

ქართველ ხალხს სამუდამოდ ემახსოვრება ქართული თეატრის უანგარო, ერთგული და საყვარელი მსახიობი ალექსანდრე ომიაძე.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო; საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოება; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი; „კომუნისტი“; „ქართული ფილმი“.

ი. გაგარინის მემორიალი

ბოლო ტურის წინ

29 ივლისი

გუშინ სპორტის სასახლეში შედგა ტურნირის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი — საბჭოთა ოლიმპიელები შეხვდნენ ამერიკის ნაკრებს. ბრძოლამ შედარებით მშვიდად ჩაიარა. პირველი ტაიმი ჩვენმა კალათბურთელებმა 15 ქულის სხვაობით მოიგეს 49:34. შესვენების შემდეგ სტუმრებმა თამაშში ვუნდის უფროსი მწვრთნელი ილან ზოხარი ჩააბეს, მაგრამ როგორც გამოირკვა, ამაოდ. საბჭოთა ოლიმპიელებმა კიდევ უფრო გაზარდეს თავიანთი სათამაშო უპირატესობა, ხოლო სხვაობა ანგარიშში 29 ქულამდე აიყვანეს — 104:75. ამ გამარჯვებით საბჭოთა გუნდმა ტურნირში პირველობა დაიპყრო.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა გუშინ მეორე გამარჯვება მოიპოვა — ანგარიშით 92:59 (39:32) მან დაამარცხა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრები. იმ შემთხვევაში თუ იგი დღეს გაიმარჯვებს ამერიკელ კალათბურთელებთან, ტურნირში მეორე ადგილზე გავიდა.

ჯერჯერობით კი სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება.

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ
სსრკ-I	5	5	0	455-340	5
აშშ	4	3	1	316-320	3
ჩეხოსლოვაკია	4	2	2	309-278	2
სსრკ-II	5	2	3	393-433	2
საქართველო	4	1	3	287-333	1
ფინეთი	4	0	4	300-356	0

აინთო ოლიმპიური ცეცხლი

ათენი, 28 ივლისი. (საკ.ფოსტა). 28 ივლისს შუადღეზე დაბა ოლიმპიაში — ანტიკური ოლიმპიადების სამშობლოში აინთო მე-20 საზაფხულო ოლიმპიური ასპარეზობის ცეცხლი. ასპარეზობა მიუნხენში დაიწყება ოთხი კვირის შემდეგ.

ტრადიციულად ეს საზეიმო ცერემონია გაიმართა ზევსის ტაძრის ნანგრევებზე. თუმცა მზეს წამდაუწუმ ეფარებოდა ღრუბელი, თეთრ ტუნიკაში გამოწყობილმა მსახიობმა მარიამ მოსკოლიუმ გამადიდებელი შუშის საშუალებით აანთო ოლიმპიური ჩირაღდანი. შემდეგ მოსკოლიუმ ჩირაღდანი გადასცა რამდენიმე ქვეყნის გზებზე ოლიმპიური ცეცხლვანი ესტაფეტის მონაწილე ხუთი ათასდან პირველ მორბენალს. 26 აგვისტოს ოლიმპიური ჩირაღდნით აანთებენ ცეცხლს მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე.

შარვალი

თენგიზ გოგოლაძე

მოთხრობა

ეს რა გიჭირს, რა, იმდენი შარვალი გაქვს, რომელი ერთი ჩაიცვა, არ იცი. მე კი, შენხელა რომ ვიყავი, ერთი შარვალი მქონდა. ერთი, ძველი, ჯარიალეული შარვალი. ბოლო დროს მის დაუთო